

**ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი ჩემი სეიფი ანაბრის ხელშეკრულების
მნიშვნელოვანი პირობები**

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი	
ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ინდექსირებული
ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური % (რეფინანსირების განაკვეთს „- 0.5%“).
ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: მაგ: თუ ანაბარზე არსებული საშუალო თვიური ნაშთი შეადგენს 1,000 ერთეულს, ხოლო მინიმალური ნაშთი 100 ერთეულს, ანაბრის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი იქნება წლიური: ____%.	
ფინანსური ხარჯები	
თანხის განაღდების საკომისიო:	0.15% GEL
სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია	
ანაბრის (დეპოზიტის) მოცულობა:	___ (ლარი)
ანაბრის გახსნიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რეფინანსირების განაკვეთის (საჯარო ინდექსის) შესაძლო 5 (ხუთი) პროცენტული პუნქტით შემცირების შემთხვევაში ანაბრის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: ____%	
გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ:	
თქვენი დეპოზიტი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების (წინამდებარე თავსართში მოცემული პირობების, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინებით. მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ბანკში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე - www.nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - +995 322 406406.	

ჩემი სეიფი ანაზრის ხელშეკრულება

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ბანკი შეანაზრებს უხსნის ამ ხელშეკრულების 2.5 პუნქტში მითითებულ ანაზრის ანგარიშს, რომელზედაც შეანაზრებს შეეძლება თანხის შეუზღუდავად შეტანა და ჩარიცხვა.

1.2 2018 წლის 1 იანვრიდან ბანკი მონაწილეობს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემაში. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული ხელმისაწვდომი თანხა ანაზღაურდება დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ 15 000 ლარის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი თანხა ანაზღაურდება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ ეწვიოთ სსიპ – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდს: www.diagency.ge.

2. ანაზრის პირობები

2. ანაზრის პირობები

2.1 ანაზრის ტიპი:

მოთხოვნამდე ანაზარი („ჩემი სეიფი“) GEL

2.2 ანაზრის ვალუტა:

წლიური __% (ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთს (შემდგომში „საჯარო ინდექსი“) - 0.5%).

2.3 საპროცენტო განაკვეთი:

წლიური საპროცენტო განაკვეთი შეიცვლება (შემცირდება ან გაიზარდება) საჯარო ინდექსის ცვლილებიდან (შემდგომში „ცვლილების თარიღი“) მომდევნო კალენდარული თვის 1 (პირველი) რიცხვიდან, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შეიცვლება (შემცირდება ან გაიზარდება) საჯარო ინდექსი.

მაგალითი #1:

თუ ანაზრის საპროცენტო განაკვეთი ცვლილების თარიღისთვის იყო 10% და ცვლილების თარიღის შემდგომ საჯარო ინდექსის განაკვეთი შემცირდა 0.50%-ით, ანაზრის საპროცენტო განაკვეთი შემცირდება შესაბამისი ოდენობით და ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარული თვის 1 (პირველი) რიცხვიდან გახდება 9.5%.

მაგალითი #2:

თუ ანაზრის ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთი ცვლილების თარიღისთვის იყო 10% და ცვლილების თარიღის შემდგომ საჯარო ინდექსის განაკვეთი გაიზარდა 0.50%-ით, ანაზრის საპროცენტო განაკვეთი გაიზარდება შესაბამისი ოდენობით და ცვლილების თარიღიდან მომდევნო კალენდარული თვის 1 (პირველი) რიცხვიდან გახდება 10.50%.

წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების წესი, მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, თუ საჯარო ინდექსის ცვლილება განხორციელდება ანაზრის ხელშეკრულების გაფორმების დღეს (ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, დღის ნებისმიერ მონაკვეთში). ნებისმიერ შემთხვევაში, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება განხორციელდება საჯარო ინდექსის ცვლილებიდან (ცვლილების თარიღიდან) მომდევნო კალენდარული თვის 1 (პირველი) რიცხვიდან. საჯარო ინდექსის (ინდექსის მიერ მიღებული მნიშვნელობების) შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ დროს შემდეგ ვებგვერდზე: <http://nbg.gov.ge/>.

საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში, შეანაზრის ინფორმირება აღნიშნულის შესახებ განხორციელდება ცვლილების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3.1 ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:	წლიური ___%
ანაზრის გახსნიდან ხელშეკრულების ვადის გასვლამდე რეფინანსირების განაკვეთის (საჯარო ინდექსის) შესაძლო 5 (ხუთი) პროცენტული პუნქტით შემცირების შემთხვევაში ანაზრის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: ___%	
2.3.2 ანაზრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი:	ინდექსირებული
2.4 საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პერიოდულობა:	თვეში ერთხელ, ყოველი კალენდარული თვის ბოლო დღეს
2.5 საანაზრო ანგარიშის ნომერი:	
2.6 ანგარიში, რომელზეც ჩაირიცხება სარგებელი:	
2.7 თანხის შეტანის და გატანის შესაძლებლობა:	შეუზღუდავი
2.8 მინიმალური მოთხოვნები ანაზრის გახსნისთვის:	0 GEL
2.9 მინიმალური მოთხოვნები საპროცენტო სარგებლის მიღებისთვის:	0 GEL
2.10 თანხის განაღდებას საკომისიო:	0.15 % GEL

3. ანაზრზე სარგებლის დარიცხვს პირობები

3.1 ანაზრს დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტში მითითებული განაკვეთის მიხედვით ამ ხელშეკრულების 5.1.1 ქვეპუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

3.2 დარიცხვა დაიწყება საანაზრო ანგარიშზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის განთავსების მომენტიდან.

3.3 ამ ხელშეკრულების 2.3 პუნქტით გათვალისწინებული საპროცენტო სარგებელი დაერიცხება საანგარიშო თვის განმავლობაში ყოველი საოპერაციო დღის ბოლოს, საანაზრო ანგარიშზე დაფიქსირებულ ნაშთებს შორის უმცირესს („ხელშეუხებელ ნაშთს“) ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტში მითითებული პერიოდულობით.

4. ანაზრის შეწყვეტის პირობები

4.1 ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაზრის ხელშეკრულების მოქმედება და/ან დახუროს საანაზრო მეანაზრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების დარღვევის, საანაზრო ანგარიშზე 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ნაშთის არარსებობის და/ან საანაზრო ანგარიშის მეშვეობით ოპერაციების განუხორციელებლობის შემთხვევაში (ამ პუნქტის მიზნებისთვის ოპერაციის განუხორციელებად არ ჩაითვლება ბანკის მომსახურების საფასურის გადარიცხვა/ჩარიცხვა კლიენტის ანგარიშიდან). ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, კლიენტს დაუბრუნდება შესაბამის ანგარიშზე რიცხული თანხა.

4.2 ბანკი ასევე უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ანაზრის ხელშეკრულების მოქმედება და/ან დახუროს საანაზრო ანგარიში, თუ მენაბრე წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს შეწყვეტს/გააუქმებს კონცეპტ / WM მომსახურებით (შესაბამისი ნაკრებით/პირობ(ებ)ით) სარგებლობას და/ან დააფიქსირებს შესაბამისი მომსახურებით (ნაკრებით/პირობ(ებ)ით) სარგებლობის შეწყვეტის/გაუქმების სურვილს.

4.3 ამ მუხლით გათვალისწინებული პირობ(ებ)ის თანახმად ანაზრის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ანაზრს არ დაერიცხება ანაზრის შეწყვეტის თვეს (მიუხედავად შეწყვეტის თარიღისა) დასარიცხი სარგებელი.

5. ხელშეკრულების პირობები

5.1 ეს ხელშეკრულება იმავდროულად წარმოადგენს მეანაზრის განაცხადს საანაზრო და საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიშ(ებ)ის გახსნის შესახებ, რომლის ხელმოწერითაც მეანაზრე ადასტურებს, რომ:

5.1.1 წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს ბანკის ვებგვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (მასში ასახული ყველა ცვლილების და დამატების) განუყოფელ ნაწილს, რომელსაც იცნობს და ეთანხმება;

5.1.2 თანახმაა, სს „თიბისი ბანკმა“ კანონმდებლობით დადგენილი წესით, საბანკო მომსახურების ეფექტური და შეუფერხებელი გაწევის მიზნით და ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო მოცულობით, მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, მისი პერსონალური მონაცემები;

5.1.3 ამ ხელშეკრულებას აფორმებს მხოლოდ საკუთარი საჭიროებისთვის და არ მოქმედებს სხვა (მესამე) პირის დავალებით ან სასარგებლოდ, არ აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან („შელ ბანკთან“) და ამ ხელშეკრულებაში აღწერილი გარიგება არ არის საექვო, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არ არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით გაფორმებული და ქონება (მათ შორის, ფულადი სახსრები), რომლის საფუძველზეც დაიდო და/ან შესრულდება ეს გარიგება, არ არის მოპოვებული/წარმოშობილი დანაშაულებრივი საქმიანობიდან;

5.1.4 თანახმაა, ბანკმა გაუხსნას საანგარიშსწორებო (მიმდინარე) და/ან მოთხოვნამდე ანაზრის (სადეპოზიტო) ანგარიშ(ებ)ი (ნებისმიერ ვალუტაში), საანაზრო ანგარიშ(ებ)ზე თანხ(ებ)ის შეტანის/ჩარიცხვის და/ან საანაზრო ანგარიშ(ებ)იდან თანხ(ებ)ის გატანის/გადარიცხვის მიზნით;

5.1.5 იმ შემთხვევაში, თუ: ა) ანაზრის ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვლება ისე, რომ იგი შესაძლოა ზარალიანი აღმოჩნდეს ბანკისთვის და/ან საფრთხე შეუქმნას ბანკის ფინანსურ სტაბილურობას; ბ) ანაზრის პირობები (მათ შორის საპროცენტო განაკვეთი) არ/აღარ შეესაბამება ბანკის მიმდინარე პოლიტიკას; გ) განხორციელდება იმგვარი საკანონმდებლო და/ან სხვა სახის ცვლილება, რომელიც აუარესებს ბანკის მდგომარეობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ცალმხრივად შეცვალოს (შეამციროს) წინამდებარეს ანაზრის საპროცენტო განაკვეთი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა. ამგვარი ცვლილებ(ებ)ის შესახებ, ბანკი მეანაზრის ინფორმირებას უზრუნველყოფს ცვლილებამდე 2 (ორი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით, ხოლო თუ იცვლება ანაზრთან დაკავშირებული სხვა „საფინანსო პროდუქტის“ ფასი, ამგვარი ცვლილების შესახებ მეანაზრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნით;

5.1.6 თანახმაა, ბანკმა არ მიაწოდოს ინფორმაცია მეანაზრისთვის სასარგებლო ცვლილების შესახებ.;

5.2 ბანკს უფლება აქვს კლიენტისთვის შეტყობინებისთვის გამოიყენოს კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალება (მათ შორის ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო და სხვა).

5.3 მეანაზრის მიერ ბანკთან დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს მეანაზრისთან გაფორმებული წინამდებარე ხელშეკრულება.

5.4 კლიენტს (მომხმარებელს) უფლება აქვს ბანკს მიმართოს პრეტენზიით ზეპირი, წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. პრეტენზიის ზეპირი ფორმით დასაფიქსირებლად მომხმარებელს შეუძლია მიმართოს სს „თიბისი ბანკის“ სატელეფონო სერვისცენტრს +995 322 272727. პრეტენზიის სტანდარტული წერილობითი ფორმის მიღება შესაძლებელია ბანკის ფილიალებსა და სერვისცენტრებში. ელექტრონული ფორმით პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია ინტერნეტბანკის ან ბანკის ვებგვერდის (www.tbcbank.ge) საშუალებით. კლიენტის მიერ დაფიქსირებული პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა, განმცხადებლის მომართვისა და იდენტიფიკაციიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვე. პრეტენზიებს განიხილავს სს „თიბისი ბანკის“ მომხმარებელთა მხარდაჭერის განყოფილება. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, კლიენტს ეცნობება წერილობით და/ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული, სატელეფონო ან სხვა). პრეტენზიის განხილვის მიმდინარეობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ნებისმიერ ფილიალში/სერვისცენტრში და/ან დისტანციური არხების საშუალებით.

5.5 მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან (შეთანხმებიდან) გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული დავა განიხილება და გადაწყდება, მხარეთა

შორის გაფორმებული „საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ“ ხელშეკრულების პირობების თანახმად.